



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მახარაძე ლეონ ილიას ძე

მახარაძე ლეონ ილიას ძე (3. VII. 1938, თბილისი, – 12. XII. 2022, იქვე), სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1986), საქართვე. დამს. გამომგონებელი (1984). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამთო-გეოლოგიური ფაკ-ტი (1961). მუშაობდა გ. წულუკიძის სახ. სამთო ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე ჰიდროსატრანსპორტო მექანიკის დარგში (1962-იდან): იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში. ხელმძღვანელობდა ტრანსპორტის სპეც. სახეობების, საიმედოობისა და დიაგნოსტიკის განყ-ბას (1989-2012) და კომპლექსური მექანიზაციის ლაბორატორიას (2012-22). ჩამოაყალიბა და განავითარა დარგის პრობლემური მიმართულებები. მის მიერ შესრულებული თეორიული კვლევის შედეგები აღიარებულია მსოფლიოში. მ. იყო რამდენიმე დარგობრივი უცხოური აკად. წევრი, მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

---